პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი შაბათი 6 სექტემბერი № 205 (17848)

ფასი 2 კაპ.

წლეულსაც სარეკორდო მოსავალს ელიან გურჯაანელი მევენახეები. მთელ რაიონში უხვი მოსავალია. ზოგიერთ მეურნეობაში უკვე დაიწყო რთველი, მათ შორის კარდანახშიც. აქაური მევენახეები ამ შემოდგომაზე 5 ათას ტონა ყურძენს მიიტანენ მარანში.

სურათზე: გურჯაანის რაიონის კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეზვერე **ნიკოლოზ შოკიაშვილი.**

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსტატი

ლოციოლოგიური გამოკითხვა სულ უფრო ფართოდ ინერგება ჩვენს პრაქტიკაში. და ეს გასაგებიც არის. ადამიანის ყოფითი მოთხოვნები თანდათან იზრდება, რთულდება და, ცხადია, შესაბამისად იცვლება მისი დამოკიდებულება გარემოსადმი, საქმიანობისა და თანამოსაქმეებისადმი. ამიტომ სოციოლოგიური გამოკითხვა დიდ დახმარებას გვიწევს უკეთ გავერკვეთ ამ „ლაბირინთში", გავიგოთ ადამიანის ხასიათის თავისებურებანი, რათა უფრო ეფექტიანი გახდეს მისი საქმიანობა, სრულად დაკმაყოფილდეს დღითი დღე მზარდი მოთხოვნები.

ასეთი გამოკითხვების მოწყობა კი ხშირად არც ისე ადვილია, დიდ დროს, ორგანიზაციულ ღონისძიებებს, გამოსაკითხი ობიექტის მომზადებას მოითხოვს და შესაძლოა ამ წინასწარმა „მუშაობამ" თავისი „შემალამაზებელი" ზეგავლენაც მოახდინოს გამოკითხვის შედეგებზე, დაიკარგოს ბუნებრიობის ეფექტი.

მაგრამ მშრომელი კაცის სულიერ სამყაროში, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაში მომხდარ ყოველ წვრილმან ცვალებადობასაც კი უოველთვის თავისი პირველყოფილი ბუნებრივი ფორმით შეიცნობს და დაინახავს ხოლმე ის ადამიანი, რომელიც წარმოებაში მის გვერდით ტრიალებს, უშუალოდ უძღვება საქმიანობის ამა თუ იმ უბანს, და ამ ადამიანის მოღვაწეობა, მისი შრომის შედეგები ყოველგვარ დონეზე მოწმობილ სოციოლოგიურ გამოკვლევაზე უფრო ძვირფასი და ღირებულია.

წარმოებაში ასეთი ფიგურა ოსტატია, საშუალო რგოლის მეთაური, საერთო საქმის ორგანიზატორი, მუშების აღმზრდელი და დამრიგებელი ადამიანი, რომელსაც მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს მუშის ხასიათის არც ერთი გადახრა, უნდა წარმართოს, შეაჯამოს, შეაფასოს და წაახალისოს თავის სამოქმედო ზონაში მოღვაწე ადამიანთა შრომის ნაყოფი.

ამბობენ ოსტატის პასუხისმგებლობის ტვირთი, მაგრამ ამავ წამით ღირებული და საპატიოა მისი საქმიანობა. ამიტომაც არის, რომ უკანასკნელ ხანს პარტია და მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან წარმოების საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა, ოსტატთა და ბრიგადირთა საქმიანობას. მარტო მიმდინარე ხუთწლედში მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებია მიღებული ოსტატთა ავტორიტეტის ამაღლების და შრომის ანაზღაურების სრულყოფის თაობაზე.

წარმოების საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა როლის ამაღლებაზე, კომპლექსური ბრიგადების შექმნის უმნიშვნელოვანესი საქმე ორგანიზაციაში მათს უდიდეს დამსახურებაზე ხაზგასმით იყო ლაპარაკი პარტიისა და მთავრობის მიერ შარშან მიღებულ დადგენილებაში „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ".

ერთი სიტყვით, ოსტატი დღეს წარმოების ცენტრალურ ფიგურად ითვლება და პარტია და მთავრობა მისგან მთელი პრინციპულობით ამბობდა მოითხოვენ სათავეში ჩაუდგეს როგორც წარმოების ორგანიზაციის, საგეგმო დავალებებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საქმეს, ისე მუშათა აღზრდას, მათს პროფესიულ დაოსტატებას, მათი მატერიალური და სულიერი სტიმულირებისათვის ზრუნვას.

„ადამიანისათვის კოლექტივი, რომელშიც იგი მუშაობს, თავისებური სახლიც არის, ოჯახიც და სკოლაც, — გვასწავლის ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. — სწორედ აქ ვადაიცემა ერთი თაობიდან მეორეს პროფესიული გამოცდილება, ოსტატობა, ნამუსიანი შრომის ტრადიციები". ეს დებულება პირდაპირ ეხება ოსტატის საქმიანობას, რომელიც პირველი ეგებება საწარმოში მოსულ ახალგაზრდას და ბოლოამდე რჩება მის გვერდით, ვიდრე იგი კოლექტიური შრომის ტრადიციებს არ შეიძენს, ვიდრე შრომა შინაგან მოთხოვნად არ ექცევა, ვიდრე საწარმოს ბატონ-პატრონის გრძნობა არ ჩამოუყალიბდება.

„აგერ ოცდაათი წელიწადია საწარმოში ვარ, — ამბობს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საქსოვი საამქროს ქარგალი ვასილი გეგეშიძე, — და ჩემმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ადამიანებთან მუშაობა, მათი აღზრდა მხოლოდ მუდმივ, უცვლელ ხასიათს უნდა ატარებდეს. გინახავთ თქვენ ახალგაზრდა, რომელიც საწარმოში პირველად მოვიდა? მის შეზდვას არაფერი სჯობს, საგზეზე სიამაყის ღიმილი დასთამაშებს, მხიარული და აქტიური. ერთი სიტყვით, მზად არის მთაც კი გადაადგაბრუნოს. აი ხად იწყება ოსტატის მუშაობა, იმთავითვე, პირველსავე დღიდან, რომ ახალგაზრდის სახეზე ეს სიამაყის ღიმილი არ ჩაქრეს. მაგრამ როგორ მოვახერხოთ ეს? საჭიროა მოვეფეროთ, ყურადღება არ მოვაკლოთ, არ განვაქიქოთ მისი გაუბედავი ნაბიჯები, უხეშად არ შეეხოთ მისი სულის სიმებს".

ცნობილი ქარგალი ამ შეგონებას ზედმიწევნით იცავს და ამიტომაც არის, რომ მისი ბრიგადა ბევრი შესანიშნავი თაოსნობის წამოწყებია. „სრიალა გრაფიკით" შესვენების გამოცდილება, რომელიც ვ. გეგეშიძის ბრიგადამ მოიპოვა, მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ბენვმატეს უბნებზე სამუშაო ზონის ერთიორად გაფართოების, მუშახელის დაზოგვის საშუალებას იძლევა და შრომის ნაყოფიერებას. ვგიდიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია.

ჩვენი სამრეწველო საწარმოების პარტიული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების კარგი მუშაობის შედეგია, რომ უკანასკნელ წლებში სულ უფრო მრავლდება უმაღლესი განათლების მქონე საშუალო რგოლის ხელმძღვანელი კადრები, ამასთან მეტი ყურადღება ექცევა მათი პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებას, პედაგოგიური ჩვევების სწავლებას, პრაქტიკულ ბრიგადის ოსტატებად, აგიტატორად, პოლიტინფორმატორად მათს დაწინაურებას. ყოველივე ეს სწორედ იმისთვის კეთდება, რომ შეუცვლელ ხასიათს ატარებდეს ოსტატის და მისი ხელმეძღვანეთის ურთიერთობა, რაც შეიძლება გაიზარდოს მათი შეხვედრების პერიოდი, გაფართოვდეს საუბრების, ინტერესების სფერო.

ამ სწორი მუშაობის შედეგად, რომ უკანასკნელ წლებში წარმოების საშუალო რგოლის ბევრი შესანიშნავი ხელმძღვანელი აღიზარდა და მათი სახელი საკავშიროდ ცნობილი გახდა. ძველი გვარდიის ოსტატების, — სოციალისტური შრომის გმირების, მაუდ-კამოლის ბრიგადის ბრიგადირ ვ. ქემაშვილის, ქუთაისის საავტომობილო ბაზის ბრიგადირის გ. ვაშაკიძის და სხვათა გვერდით გამოჩნდნენ წარმოების ნოვატორები, რომლებიც კომპლექსური ბრიგადების შექმნის თაოსნებიც გახდნენ. მაგალითად, თბილისელი ელექტროშემნენებლები ა. გელაშვილი და ტ. ლომიძე, ელექტრობის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის ოსტატი რ. გვიმრაძე და სხვები.

ეს ის ადამიანებია, რომლებიც ნამდვილი ორგანიზატორები, აღმზრდელები და დამრიგებლები არიან წარმოებაში. მაგრამ მათი ეს ადალი ოსტატობა თავისთავად როდი მოვიდა. ისინი ბევრს და ეფექტურად მუშაობდნენ საკუთარ თავზე, არასდროს თაკილობდნენ, რომ რაც შეიძლება შეტი ეხსწავლათ გამოცდილი პრაქტიკოსი ოსტატებისაგან და მათი პრაქტიკული ჩვევები თავიანთი თეორიული განათლებისათვის შეეხამებინათ.

ამ მიმართულებით მუშაობას დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. პრაქტიკოსი ოსტატების და ბოლო დროს მოსული ახალგაზრდა სპეციალისტების ცოდნის შეჯერება და ერთიანებ

სრულმყოფ სამეურნეო მექანიზმი

ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებელი

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სრულყოფა ჩვენი ქვეყნის სწრაფი და განუხრელი განვითარების გამორბებული აუცილებლობაა. უკანასკნელ პერიოდში გიგანტურად გაიზარდა წარმოების მოცულობა. ასევე ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დადგა წარმოების, ადამიანთა შრომის, ტექნიკის შესაძლებლობათა, სანედლეულო რესურსების და თვით წარმოებული პროდუქციის უფრო ეფექტიანი გამოყენების, ანუ ეკონომიკის ინტენსიური განვითარების რელსებზე გადაყვანის ამოცანა, რომლის განხორციელებაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო შედეგების ზრდას.

დღეისათვის მრეწველობაში საწარმოების, საწარმოო გაერთიანებების სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვასა და შეფასებაში გამოიყენება ისეთი ღირებულებითი კრიტერიუმები, როგორიც არის სასაქონლო (მთლიანი) და რეალიზებული პროდუქციის მაჩვენებლები. მთლიანი პროდუქციის მაჩვენებლით განისაზღვრება წარმოების დინამიკა, შრომის ნაყოფიერება, ფონდუკუგება, ხელფასის ფონდი. მაგრამ ამას აქვს არსებითი ნაკლი; გარდა ახლად შექმნილი ღირებულებისა, იგი მოიცავს აგრეთვე გამოყენებული წარმოების საშუალებების ღირებულებას. ეს კი საშუალებას აძლევს საწარმოებს გარედან მიღებული მაღალფასიანი რესურსების გამოყენების ხარჯზე, შრომითი კოლექტივების საქმიანობის გაუმჯობესების გარეშე, გაადიდოს მთლიანი პროდუქციის მოცულობა და შექმნას ეფექტიანობის მაჩვენებლების მოჩვენებითი გაუმჯობესება, დაუმსახურებლად ისარგებლოს მოწინავეთა პრივილეგიებით.

ამ ნაკლის დაძლევის ერთ-ერთი გზაა საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვასა და შეფასებაში ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლის გამოყენება. ეს მაჩვენებელი მატერიალური დანახარჯების დინამიკის ზეგავლენისაგან თავისუფალია. მისი ეკონომიკური შინაარსია საწარმოში ახლად შექმნილი ღირებულება, სხვანაირად იგი წარმოადგენს საწარმოს საბითუმო ფასის ნაწილს, რომელიც შედგება ხელფასისგან, ხელფასის სოციალური ანარიცხებისგან და მოგების ჯამისაგან.

ახალი, გეგმაში დასამტკიცებელი მაჩვენებლის შემოღება არ აუქმებს აქამდე მოქმედ მაჩვენებლებს. მთლიანი პროდუქციის მაჩვენებელი, როგორც გაახგარებებითი, გამოყენებული იქნება ისეთი პარამეტრების განსაზღვრისათვის, როგორიც არის წარმოების დინამიკა, დარგთაშორისი ვჟშორები და საბალანსო გაანგარიშებები.

ექსპერიმენტების მასალების ანალიზმა გამოავლინა მთლიან პროდუქციასთან შედარებით ნორმატიული წმინდა პროდუქციის ზრდის უპირატესი ტემპი. ეს ნიშნავს, რომ მთლიანი პროდუქციის გამოშვებაში გაიზარდა შრომატევადი პროდუქციის — რთული ნაკეთობების, ახლად ათვისებული პროდუქციის, სათადარიგო ნაწილების, ფართო მოხმარების საქონლის და სხვათა ხვედრითი წონა.

ამ ახალი ეკონომიკური მაჩვენებლის შემოღება საწარმოს იქითკენ წარმართავს, რომ გაადიდოს ყველა სახეობის პროდუქციის გამოშვება მათი მასალატევადობისა და რენტაბელობის დონისაგან დამოუკიდებლად. თუ დღეისათვის მოქმედი ღირებულებითი მაჩვენებლების პირობებში შრომატევადი პროდუქციის, მაგალითად, სათადარიგო ნაწილების გამოშვება „აუარესებს“ საწარმოს სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლებს, ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოყენებისას, პირიქით, ასეთი ნაკეთობის ყოველი მანეთი მას მეტ წმინდა პროდუქციას მისცემს, ეიდრე მასალატევადი, რადგანაც მასზე წმინდა პროდუქციის გადიდებული ნორმატივი დგინდება.

ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებელს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს სასაქონლო (მთლიანი) პროდუქციის მაჩვენებელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების დაგეგმვასა და მისი დინამიკის დადგენაში. შრომის ნაყოფიერების განსაზღვრიდან გამოვიბეჭდოთ შრომის — ნაყიდი ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელი ნაკეთობების, სათბობის და ენერგიის ღირებულების დინამიკის ზეგავლენის გამორიცხვა საშუალებას იძლევა სწორად შევაფასოთ ყოველი საწარმოს „საკუთარი“ შრომის დანახარჯები და მისი ეფექტიანობა.

საზოგადოებრივი თვალსაზრისით შრომის ნაყოფიერება იზრდება, აგრეთვე, განვითარებული შრომის ეკონომიის პირობებიც. მაგრამ იგი ისახება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიც არის მასალატევადობა, თვითღირებულება, მოგება და რენტაბელობა. საწარმოს მასშტაბით კი კოლექტივის შრომის ნაყოფიერების დონეს და დინამიკას სწორად ასახავს „საკუთარი“ შრომის დანახარჯებიდან გამომდინარე განგარიშება. ნორმატიული წმინდა პროდუქციის საფუძველზე განგარიშებული შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი საწარმოში განხორციელებული შრომის შეფასების ყველაზე ობიექტური კრიტერიუმია.

ზოგიერთი ეკონომისტის აზრით ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლის გამოყენება საწარმოს, საწარმოო გაერთიანების სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვაში გაადიდებს წარმოების შრომატევადობას და თუ აქამდე მათთვის „სარგებლიანი“ იყო მასალატევადი პროდუქციის წარმოება, ახალი მაჩვენებლის გამოყენების პირობებში „სარგებლიანი“ გახდება შრომატევადი პროდუქცია. შევნიშნავთ, რომ ასეთი მოსაზრება არასწორია და ემყარება ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლის მექანიზმის მოქმედების გაუგებრობას. ნორმატიული წმინდა პროდუქცია იქმნება მხოლოდ საწარმოთა კოლექტივის „საკუთარი“ შრომის ზომის შესაბამისად მის ნორმატიულ (და არა ფაქტობრივ) განზომილებაში. ამიტომ ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოყენების პირობებში პროდუქციის განაწილებას „სარგებლიანად“ და „არასარგებლიანად“ რაიმე რეალური საფუძველი არ გააჩნია.

მართალია, შრომატევად ნაკეთობას აქვს შესაბამისად წმინდა პროდუქციის გაზრდილი ნორმატივი, მაგრამ მისი წარმოება მოითხოვს „საკუთარი“ შრომის გადიდებულ დანახარჯებს, რასაც მსგავსად მაღალი ღირებულების მატერიალური რესურსებისა საწარმო გარედან ვერ მიიღებს, და არ იძლევა რაიმე დამატებით სარგებლიანობას, რასაც შეეძლო საწარმოს დაინტერესება მაღალი შრომატევადობის მქონე პროდუქციის გამოშვების გადიდებაში.

ნორმატიული წმინდა პროდუქცია, დაგეგმვის პრაქტიკაში გამოყენებულ სხვა მაჩვენებლებთან შედარებით, ყველაზე საიმედო ბაზის წარმოადგენს ,ხელფასის ფონდის დაგეგმვასა და მისი გამოყენების კონტროლის საქმეში. ეს ახალი მაჩვენებელი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ხელფასის დაგეგმვის ნორმატიული მეთოდის დანერგვის საქმეში, მაგრამ ხელფასის ნორმატივის დადგენა ერთი მანეთის სასაქონლო, მთლიანი, ან სარეალიზაციო პროდუქციაზე, რომელთა მოცულობა საწარმოს „საკუთარი“ შრომის დანახარჯების გარდა, ასევე, დამოკიდებულია პროდუქციის მასალატევადობის ცვლილებაზე, ამცირებს ამ პროგრესული მეთოდის ქმედითობას, რეალობას. საშუალებას არ გვაძლევს ხელფასის ფონდი დავგეგმოთ საწარმოთა კოლექტივების „საკუთარი“ შრომითი დანახარჯების რეალურ სიდიადეთა გათვალისწინებით.

მართლაც, თუ მთლიანი პროდუქციის ნამატის გარკვეული ნაწილი მიღებულია ნაყიდი მაკომპლექტებელი ნაკეთობების, დეტალების, მასალების ხვედრითი წონის გადიდების შედეგად, ეს საშუალებას იძლევა საწარმომ დაუმსახურებლად გაადიდოს ხელფასის ფონდი. ცხადია, ხელფასის ფონდის ასეთ ცვლილებას დასაბუთებულად ვერ მივიჩნევთ, რადგან ყველასათვის ნათელია, რომ საკუთარი წარმოების კვანძის ნაცვლად გარედან ნაყიდის გამოყენება არ იწვევს საწარმოში შრომითი დანახარჯების გადიდებას. ამიტომ სავსებით ლოგიკურია, თუ შრომის ანაზღაურების ზომის დადგენისას სამაზისო მონაცემებიდან გამოვრიცხავთ გარედან მიღებულ ფასეულობებს. მაშასადამე, ნორმატიული წმინდა პროდუქციის საფუძველზე განსაზღვრული ხელფასი გაცილებით უფრო დამსახურებული იქნება, ვიდრე მთლიანი პროდუქციის საფუძველზე გაანგარიშებული, რამდენადაც შრომატევადობის დინამიკა გაცილებით ახლოა ნორმატიული წმინდა პროდუქციის დინამიკასთან, ვიდრე საერთო პროდუქციის დინამიკასთან.

ახალი მაჩვენებლის — ნორმატიული წმინდა პროდუქციის დაგეგმვის პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ეკონომისტი გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ მაჩვენებლის გამოყენება უარყოფითად იმოქმედებს წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარებაზე. უნდა შევნიშნოთ, რომ იმ საწარმოებში, სადაც ამ მაჩვენებლის ექსპერიმენტი ტარდებოდა, ნაყიდი ნახევარ-ფაბრიკატების და ნაკეთობების ხვედრითი წონა პროდუქციის თვითღირებულებაში ნელა, მაგრამ თანამიმდევრულად გაიზარდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ახალი მაჩვენებელი ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომ გაღრმავებასა და განვითარებას.

მაშასადამე, ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლის

ეპარტიული ქრონიკა

ლექტორები მეურნეობაში

ცხინვალი. (საკ. კორ.). სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ გაიშალა სამხრეთ ოსეთში. იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებიც ახლა იქ არიან, სადაც გეგმების შესრულების ბედი წყდება. მუშაობა გააააქტიურეს პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის წევრებმაც.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა რ. კაბისოვმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ცხოვრებოვმა, ლექტორებმა მ. რუბმტეინმა და შ. ქოქოევმა ჯავის საბჭოთა მეურნეობაში წაიკითხეს ლექციები: „საბჭოთა ადამიანების მოვალეობანი სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად“, „მსოფლიო ვითარება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალების მიხედვით“, „საბჭოთა კანონებისა და კანონიერების დაცვა ყველა მოქალაქის საპატიო მოვალეობაა“.

ლექტორთა ჯგუფის წევრმა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ე. ძაგოევამ ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობაში წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგებისადმი მიძღვნილი ლექცია. ლექტორთა ჯგუფის წევრები იყვნენ, აგრეთვე, ოლქის სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც 100-ზე მეტი ლექცია წაიკითხეს.

• •

თეორიული კონფერენცია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა და პარტიის ცხაკაიას რაიკომმა მოაწყვეს თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებისათვის მზადებას მიეძღვნა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესვანჯიამ. პროფესორმა გ. ბრეგაძემ, პარტიის ცხაკაიას რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ი. ციერამუამ, პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ მ. ჩაჩავამ წაიკითხეს მოხსენებები: „ყრილობიდან ყრილობამდე ლენინური კურსით“, „ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებები პარტიისა და ორგანიზაციებისადმი ყრილობის მზადების პერიოდში“, „მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური და ალმზრდელობითი მუშაობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე“.

დ. ზამათავა.

• •

დამრიგებლობას — ფართო გზა

აბაშა (საკ. კორ.). ახლახან პარტიის რაიკომის ბიუროომ მოისმინა ცნობილი მექანიზატორის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ლენინის ორდენოსნის ტ. ახობაძის ანგარიში ახალგაზრდობის აღზრდისა და პროფესიული დაოსტატების მიზნით მის მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე.

რაიკომის ბიუროომ მოიწონა ტ. ახობაძის, აგრეთვე რაიონის სხვა გამოჩენილი ადამიანების, ახალგაზრდობის საუკეთესო დამრიგებლების ელ. არველაძის, ივ. ცსორჩაკის, ჭ. ჯამბურიას, ნ. გრიგოლიას, ბ. ჩოჩიას და სხვათა მიერ ამ მხრივ გაწეული მუშაობა და დასახა რაიონში დამრიგებლობის მოძრაობის უფრო ფართოდ გაშლის ღონისძიებები.

ვის უხმობს ზარი?

ფუძის დალოცვა

— **ახლა** მალე გადავხედავთ ჟერერსა! — ამის თქმა იყო, და სამივეს ისე შეგვაწყდა ბაგეზე სიტყვა, გეგონება, რაღაც სრულიად უეცარი და მოულოდნელი ამბავი ეუწყებინოთ. მხოლოდ მსუბუქი მაჭანის ძრავის დაძაბული გუგუნი ისმოდა კვლავინდებურად. ავედით აღმართზე, ავივაკეთ მცირედი და ასევე ძია გიორგიმ დაარღვია დუმილი — აი, ეგ არი, — თან ხელით მთის კალთას ჩაფრენილი, ერთმანეთს ჩახუტებული შენობებისაკენ მიგვანიშნა — ყველაზე დიდი სახლი რომ მოჩანს, ეგაც ჩვენი ახალი სკოლაა...

მაჭანა ისევ დაღმართზე დაეშვა და წუთის წინ ხილული მოლანდებასავით გაქრა.

მაინც კი ჰგავდა ყველაფერი, რაც ამ სოფელს გადახდა, მოლანდებასა და სიზმარს...

გიორგი ჯაჭვაძე 1978 წელს ერთი პირველთაგანი დაბრუნებია აღორძინებულ ჟერემს და 50-იან წლებში გაუაკრილებელ სოფელში ისევ აუნთია ცეცხლი ნაცარწყარილ კერაზე.

შენდება, ხელახლა იბადება სოფელი, რომელსაც მემატიანე ერეკიდევ მე-6 საუკუნეში მოიხსენიებს.

თვალი ალბათ იშვიათად თუ იხილავს უფრო მშვენიერ სასწაულს.

ახლა სოფელში 58 კომლია.

პირველად, 77-ში, 63 კაცი დაბრუნებულა. რა დასამალია, ზოგს ისევ თბილი ბინა უმჯობინებია ბარში და უკან წასულა, მაგრამ უმრავლესობამ უერთგულა მამაპაპისეულ ფუძეს.

მარტო ჟერემელი მასწავლებლების, ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ლუიზა და ოთარ დათუნაშვილების მაგალითი რად ღირს!

ჟერემის სკოლის მასწავლებელი ლალი ჯაჭვაძე ამბობს: ჩვენი სოფლის სიყვარულში ამ ახალგაზრდებმა ბევრ ჟერემელსაც აჯობესო.

ისინი — ლუიზა და ოთარ დათუნაშვილები, პირველმოსახლეთა კვალზე მოვიდნენ აქ. ჩვენს დროში უსკოლოდ, უმასწავლებლოდ არამც თუ სოფელი, ოჯახიც ვერსად დამკვიდრდება და, თუ სოფელმა ფესვი გაიდგა, ამ დიდ საქმეში ახალგაზრდა პედაგოგების დიდზე დიდი ღვაწლია.

ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა დაუყოვნებლივ მოაშურეს ჟერემს, როგორც კი აქ მუშაობა შესთავაზეს, თუმცა ჯერ არც სკოლის შენობა იყო, არც მომავალი სასწავლო კორპუსის უტყუარი გარანტია. ფინენი სახლის ვიწრო ოთახში, სადაც ლუიზა და ოთარი თავის პირველ მოსწავლეებს ამეცადინებდნენ, კედელს ახლაც მრავლისმეტყველად შემორჩენია ჩვეულებრივი სახატავი რვეულის ფურცელზე მათი ხელით ჩაწერებული სურათები, და წარწერა — „ქართული პოეზიის თანავარსკვლავედი“.

ეს სექტემბერი არასდეს დავიწყდება ჟერემს; პირველ სექტემბერს პირველი ზარი დაირეკა ახალ სკოლაში. ასეთ შენობას, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მეოთხე ტრესტის მშენებლებს რომ აუგიათ, არც დიდ ქალაქში დაიწუნებდნენ. თანაც ეს ჟერემის საშუალო სკოლის მხოლოდ პირველი კორპუსია. მალე მას მეორეც ამოუდგება მხარში. სულ კი ოთხი უნდა ააგონ.

რამდენი ზრუნვა, როგორი ყურადღებაა გამოხატული თუნდაც იმ ფაქტით, რომ სკოლაში, სადაც ჯერჯერობით სულ 45-ოდე მოსწავლეა, ათივე კლასია გახსნილი და აქაურ ყმაწვილებს საშუალება აქვთ სრული საშუალო განათლება სხვაგან წაუსვლელად მიიღონ.

ისიც უთუოდ სიმბოლურია, რომ სკოლის ორსართულიანი ნათელი სახლი სოფელში შეგროვებული ქვით არის აგებული; მისი კედლები ჯაჭვაძეების, ბერეკაძეების, გელაშვილების, ბარბაქაძეების ნაფუძარზე შემორჩენილი ქვებით მაღლდებოდა და მაგრდებოდა.

სკოლამ დიდი სიხარული მოიტანა.

მისი ზარის ხმა ახალი სიცოცხლის კარის გახსნაა;

მისი ზარის ხმა წარსულსა და მომავალს შუა იმედად ჩამდგარი აწყოს რწმენის დუღაბია;

მისი ზარის ხმა ჟერემელ ყმაწვილთა ოცნებების ფრთაშესხმაა.

ერთ პატარა პირველკლასელ ბიჭს უთქვამს — ჩემზე ასე ილაპარაკეთ: ჟერემელია და ჟერემშია დაბადებულიო...

ჯერაც გაუცნობიერებელი სიამაყისა და სიყვარულის რა უძლეველობაა ამ სიტყვებში!

ჟერემი მარტო აღარ არის:

ჟერემს მთელი საქართველო უდგას მხარში.

ჟერემიდან წამოსულს არ გაგემტყუნება, თუ საფიქრალ-სადარდებლად გამოგყვება იქაურთა საზრუნავი.

მალე შემოდგომის წვიმები დაიწყება;

მალე მთებიდან ზამთრის ცივი ქარები დაუბერავს.

სახურავში გაატანს წყალი, დროებითი ბინის ფარფლალა კედლში და გაძვრება ქარი.

წელს უწინდელზე უკეთესი, მაგრამ მაინც მკაცრი ზამთარი ექნებათ ჟერემელებს, ოღონდ ეგ არის ბავშვებს არავის შეუცივდება. სკოლაში, ამ მაღალჭერიან ლამაზ სახლში, ყოველთვის იქნება სითბო და სინათლე.

ეს კი მთავარია ახლა, ყველაზე მთავარი.

მერე კი, მერე ყველაფერს მოევლება.



ჯერ, რა თქმა უნდა, ბევრია საზრუნავი;

ჯერ, რა თქმა უნდა, ისევ არაერთხელ მოინატრებენ მშობლიურ კერას ახალგაზრდა პედაგოგები მარინე დათუაშვილი, ნათელა პაპუნაშვილი, იზა ირომაშვილი, მაგრამ უკან წასასვლელად არავის უმარავს თვალი.

როცა ისევაც სივიწროვეში მყოფმა ალექსი ჯაჭვაძის ოჯახმა თავის დროებით საცხოვრისში სამ ახალბედა მასწავლებელს ერთი ოთახი სრულიად უანგაროდ დაუთმო, ამით მან მთელი სოფლის ნდობა დაადასტურა.

ამგვარ სიყვარულსა და ნდობას არ ღალატობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსა და ხელს შუა აღიმართება ქვითკირის ფუძემაგარი სახლები. გამოიკვეთება თანამედროვე სოფლის ფართო ქუჩაბანდები და აღარასოდეს ჩაიკეტება გზა ჟერემიდან კახეთს, დედა თბილისისკენ მიმავალი.

თ. მეტრეველი,
„კომუნისტის“ სპეც. კორეს-პონდენტი.

სურათებზე: გურჯაანის რაიონის სოფელ ჟერემის საშუალო სკოლაში პირველი ზარის დარეკვის სახარული წილად ხვდა მეოთხე კლასის მოსწავლეს თემურ ბიწკინაშვილს (ზემოთ). პედაგოგი ლალი ჯაჭვაძე პირველ გაკვეთილს უტარებს დაწყებითი კლასის მოსწავლეებს.

მ. გონაშვილის ფოტო.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებს

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 13 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „მივხედოთ ბაზარს!“ იგი რესპუბლიკის საკოლმეურნეო ბაზრებში არსებულ მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს ეხებოდა.

ამასთან დაკავშირებით რედაქციას საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ბ. ხელაძე ატყობინებს:

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ განიხილა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კრიტიკული სტატია „მივხედოთ ბაზარს!“ მასში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. სამინისტრომ საკოლმეურნეო ბაზრების რესპუბლიკურ სამმართველოსთან და თბილისის აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოსთან-ერთად დასახა ღონისძიებანი საკოლმეურნეო ბაზრებში ასეულ დარღვევა-დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად.

საკოლმეურნეო ვაჭრობაში პროგრესული მეთოდების დანერგვისა და სპეციალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით შემუშავებულია სავაჭრო მომსახურების ბიუროების დებულება და ბრძანების პროექტი, რომელიც უახლოეს დროში დაინერგება.

ექსპერიმენტის წესით გათვალისწინებულია ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონსა ცენტრალურ და კიროვის რაიონის, აგრეთვე წყალტუბოსა და მახარაძის საკოლმეურნეო ბაზრებში სავაჭრო მომსახურების ბიუროების შექმნა.

ქ. თბილისის ყველა და რესპუბლიკის მსხვილ საკოლმეურნეო ბაზრებში დაწყებულია და მალე დამთავრდება სავაჭრო ადგილების დანომვრა, სასწორების სავაჭრო დასლებზე დამაგრება, სავაჭრო რიგებში კარადების მოწყობა სპეცტანსაცმლისა და სავაჭრო ინვენტარის შესანახად. ხორცეულდება ავტომატური სალარო-აპარატების დამონტაჟების ღონისძიებანი.

ქ. თბილისის ცენტრალური, ნავთლუღის, საბურთალოს, საქარხნო რაიონის საკოლმეურნეო ბაზრებში გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და შუამაბის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საკოლმეურნეო ბაზრების რესპუბლიკური სამმართველოსა და ქ. თბილისის აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს ბრძანებებით აღნიშნული ბაზრების დირექტორები და ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორის მოადგილე გ. გოგიშვილი, გ. ფანჯავიძე, ო. ჭყოიძე, ნ. გიორგობიანი და კ. ჩოჩია განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან. პარტიის კიროვის რაიკომმა განიხილა კიროვის საკოლმეურნეო ბაზრის ხელმძღვანელი მუშაკთა პასუხისმგებლობის საკითხი. დირექტორს ნ. ხიხარულიძეს და ამის მოადგილეს გ. ღუდუშაურს შესაბამისად გამოეცხადათ საყვედური და სასტიკი საყვედური.

საკოლმეურნეო ბაზრების რესპუბლიკურმა სამმართველომ თანამდებობიდან გაათავისუფლა, აგრეთვე, ლაგოდეხის საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორი ნ. ჩინჩალაძე.

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში შემცირებულია კონტროლიორებისა და კარისკაცების საშტატო ერთეულები 1978 წლის 6 აპრილის № 65 ბრძანების შესაბამისად, რომელიც ჟერჟერობით მთლიანად არ არის შესრულებული.

თბილისის აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს დაეკისრა უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ბრძანების მთლიანად შესრულება და უკანონოდ შექმნილი საშტატო ერთეულების გაუქმება.

სამინისტროს კოლეგიამ განიხილა დოკუმენტური რევიზიის მასალები და გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებებისათვის საკოლმეურნეო ბაზრების რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს მ. ჩაჩხალიას, საკონტროლო-რევიზიო განყოფილების უფროსს გ. აფხაზავას, ვაჭრობის ორგანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის განყოფილების უფროსს გ. ებრალიძეს, მთავარ ბუღალტერს ს. აბაშიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, თბილისის აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ საკოლმეურნეო ვაჭრობის განყოფილების უფროსს ო. კობერიძეს გამოუცხადა საყვედური. 26 კომისრის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის ინსპექტორს შ. ჯობაძეს — სასტიკი საყვედური, საპრეზიდიუმოო დღესასწაულის დღეებში თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხანაში გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების შუნიდვის გრაფიკის ჩაშლისათვის ლენინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორი ა. გურამიშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

იყავ აქტიური მოქალაქე!

ერის პოტენციას ყოველთვის განსაზღვრავდა მისი ახალგაზრდობა. ეს დღესაც ასეა და ამიტომაც არის, რომ ხანდაზმული თაობის ყველაზე წმინდა ვალი ახალგაზრდობის საუკეთესო აღზრდისათვის ზრუნვაა. განსაკუთრებით პრინციპულად დგას ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემა ჩვენი ეპოქის წინაშე. ხვალინდელ დღეს ახალი ტიპის ადამიანი სჭირდება. ახალი ადამიანის სულიერი ჩამოყალიბება კი ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ძირითადად ჩვენს უმაღლეს სკოლაში მიმდინარეობს.

თანამედროვეობა, საბჭოთა სინამდვილე განსაკუთრებით მოითხოვს, რომ სტუდენტს ჰქონდეს აქტიური მოქალაქეობრივი სახე. ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობაც ენთუზიაზმით ეხმაურება ამ მოთხოვნას. ამ ახალგაზრდულ შემართებაში ჩაბმულია რესპუბლიკის 85-ათასიანი სტუდენტური არმია. საკმარისია თვალი გადავავლოთ უკანასკნელ წლებში ჩვენი სტუდენტებისა და ახალგაზრდების შრომითს საქმეებს, რომ ნათელი გახდეს ქართველი ახალგაზრდა თაობის დღევანდელი მოქალაქეობრივი სახე. მაგალითად, სტუდენტებმა გაწმინდეს ულამაზეს არქიტექტურული კომპლექსი, ალადგინეს სამცხის ტერასები, შექმნეს ახალგაზრდული თეატრები და ჟურნალები...

თანამედროვე ეპოქის ტემპი არათუ საზოგადოდ ახალგაზრდობას ან მის რომელიმე თაობას, არამედ ცალკეულ პიროვნებასაც არ აძლევს უფლებას მიღწეულს დაბელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების დაგეგმვასა და მისი დინამიკის დადგენაში. შრომის ნაყოფიერების განსაზღვრიდან გამოვიბეჭდოთ შრომის — ნაყიდი ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელი ნაკეთობების, სათბობის და ენერგიის ღირებულების დინამიკის ზეგავლენის გამორიცხვა საშუალებას იძლევა სწორად შევაფასოთ ყოველი საწარმოს „საკუთარი“ შრომის დანახარჯები და მისი ეფექტიანობა.

საზოგადოებრივი თვალსაზრისით შრომის ნაყოფიერება იზრდება, აგრეთვე, განვითარებული შრომის ეკონომიის პირობებიც. მაგრამ იგი ისახება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიც არის მასალატევადობა, თვითღირებულება, მოგება და რენტაბელობა. საწარმოს მასშტაბით კი კოლექტივის შრომის ნაყოფიერების დონეს და დინამიკას სწორად ასახავს „საკუთარი“ შრომის დანახარჯებიდან გამომდინარე განგარიშება. ნორმატიული წმინდა პროდუქციის საფუძველზე განგარიშებული შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი საწარმოში განხორციელებული შრომის შეფასების ყველაზე ობიექტური კრიტერიუმია.

ზოგიერთი ეკონომისტის აზრით ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლის გამოყენება საწარმოს, საწარმოო გაერთიანების სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვაში გაადიდებს წარმოების შრომატევადობას და თუ აქამდე მათთვის „სარგებლიანი“ იყო მასალატევადი პროდუქციის წარმოება, ახალი მაჩვენებლის გამოყენების პირობებში „სარგებლიანი“ გახდება შრომატევადი პროდუქცია. შევნიშნავთ, რომ ასეთი მოსაზრება არასწორია და ემყარება ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლის მექანიზმის მოქმედების გაუგებრობას. ნორმატიული წმინდა პროდუქცია იქმნება მხოლოდ საწარმოთა კოლექტივის „საკუთარი“ შრომის შესაბამისად მის ნორმატიულ (და არა ფაქტობრივ) განზომილებაში. ამიტომ ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოყენების პირობებში პროდუქციის განაწილებას „სარგებლიანად“ და „არასარგებლიანად“ რაიმე რეალური საფუძველი არ გააჩნია.

მართალია, შრომატევად ნაკეთობას აქვს შესაბამისად წმინდა პროდუქციის გაზრდილი ნორმატივი, მაგრამ მისი წარმოება მოითხოვს „საკუთარი“ შრომის გადიდებულ დანახარჯებს, რასაც მსგავსად მაღალი ღირებულების მატერიალური რესურსებისა საწარმო გარედან ვერ მიიღებს, და არ იძლევა რაიმე დამატებით სარგებლიანობას, რასაც შეეძლო საწარმოს დაინტერესება მაღალი შრომატევადობის მქონე პროდუქციის გამოშვების გადიდებაში.

ნორმატიული წმინდა პროდუქცია, დაგეგმვის პრაქტიკაში გამოყენებულ სხვა მაჩვენებლებთან შედარებით, ყველაზე საიმედო ბაზის წარმოადგენს ,ხელფასის ფონდის დაგეგმვასა და მისი გამოყენების კონტროლის საქმეში. ეს ახალი მაჩვენებელი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ხელფასის დაგეგმვის ნორმატიული მეთოდის დანერგვის საქმეში, მაგრამ ხელფასის ნორმატივის დადგენა ერთი მანეთის სასაქონლო, მთლიანი, ან სარეალიზაციო პროდუქციაზე, რომელთა მოცულობა საწარმოს „საკუთარი“ შრომის დანახარჯების გარდა, ასევე, დამოკიდებულია პროდუქციის მასალატევადობის ცვლილებაზე, ამცირებს ამ პროგრესული მეთოდის ქმედითობას, რეალობას. საშუალებას არ გვაძლევს ხელფასის ფონდი დავგეგმოთ საწარმოთა კოლექტივების „საკუთარი“ შრომითი დანახარჯების რეალურ სიდიადეთა გათვალისწინებით.

მართლაც, თუ მთლიანი პროდუქციის ნამატის გარკვეული ნაწილი მიღებულია ნაყიდი მაკომპლექტებელი ნაკეთობების, დეტალების, მასალების ხვედრითი წონის გადიდების შედეგად, ეს საშუალებას იძლევა საწარმომ დაუმსახურებლად გაადიდოს ხელფასის ფონდი. ცხადია, ხელფასის ფონდის ასეთ ცვლილებას დასაბუთებულად ვერ მივიჩნევთ, რადგან ყველასათვის ნათელია, რომ საკუთარი წარმოების კვანძის ნაცვლად გარედან ნაყიდის გამოყენება არ იწვევს საწარმოში შრომითი დანახარჯების გადიდებას. ამიტომ სავსებით ლოგიკურია, თუ შრომის ანაზღაურების ზომის დადგენისას სამაზისო მონაცემებიდან გამოვრიცხავთ გარედან მიღებულ ფასეულობებს. მაშასადამე, ნორმატიული წმინდა პროდუქციის საფუძველზე განსაზღვრული ხელფასი გაცილებით უფრო დამსახურებული იქნება, ვიდრე მთლიანი პროდუქციის საფუძველზე გაანგარიშებული, რამდენადაც შრომატევადობის დინამიკა გაცილებით ახლოა ნორმატიული წმინ

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ჯურნალზე

საკავშირო და ახალი აზიის სტუდენტის კორესპონდენტები

განვავითაროთ მეგობრობა, გავაფართოოთ კონტაქტები

ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოდის დასავლეთ გერმანიის ქალაქ საარბრიუკენის, თბილისის პარტნიორი ქალაქის, დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საარბრიუკენის მერი ო. ლაფონტენი.

პარტნიორი ქალაქების თანამშრომლობაზე საქონფორმის კორესპონდენტს ესაუბრა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ნეფედოვი.

— ჩვენს რესპუბლიკაში გერმანიის დელეგაცია 6 სექტემბერს ჩამოვა, — თქვა მან. — საქართველოში მისი ექვსდღიანი ვიზიტისთვის შევადგინეთ ვრცელი პროგრამა. სტუმრები დაწვრილებით გაეცნობიან რესპუბლიკის მიღწევებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ისინი ესტუმრებიან კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებებს, ეწვევიან მცხეთას, საგარეჯოს, ჭუთაისს, მესტიას, კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს. ეს მათ დაეხმარება თვალნათლივ დარწმუნდნენ, როგორ წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

თბილისისა და საარბრიუკენის მეგობრობა ჩაისახა რვა წლის წინათ, როცა გერმანულ თეატრში დაიდგა ქართული მუსიკის კლასიკოსის ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. შემდეგ თბილისის ოპერის სცენაზე აიღერდა ვაგნერის ნაწარმოებები „ლოენგრინი“ და „მფრინავი ჰოლანდიელი“, ავრეთვე მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“ და გუნოს „ფაუსტი“, რომლებიც გერმანელმა თეატრალურმა მოღვაწეებმა არა მარტო დადგეს, არამედ მონაწილეობდნენ კიდეც ამ სპექტაკლებში. შემდგომში ეს მეგობრობა გაფართოვდა. საარბრიუკენში გამოვიდა თანამედროვე ქართველი პოეტების ნაწარმოებთა კრებული. თბილისში გამოიცა თანამედროვე გერმანელი პოეტის მარტინ ბუხორნის ლექსები — „პერსპექტივა“, რომელიც მორის ფოცხიშვილმა თარგმნა. ახლა ითარგმნება საარის მხარის მწერალთა ნაწარმოებების ანთოლოგია. ქართველ ლიტერატორებს არაერთხელ წვევიან გერმანელი კოლეგები. ჩვენი მხატვრული კითხვის ოსტატები მონაწილეობდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მწერალთა ასოციაციის კონგრესის მუშაობაში. ერთი სიტყვით, ჩვენი კავშირურთიერთობა გაღრმავდა, ჩვენ არ ვიფარგლებით მხოლოდ ოფიციალური დელეგაციების გაცვლით. უფრო ღრმა თანამშრომლობის განმტკიცებას ხელს უწყობს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის — ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერების, სახალხო განათლების მოღვაწეებისა და სხვათა კონტაქტები.

მჯდრო კავშირი დავამყარეთ საფრანგეთის ქალაქ ნანტთან. მისი დელეგაცია რამდენადმე მოგვიანებით ჩამოვა თბილისში.

ასეთ შეხვედრებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს — თქვა დასასრულ ნ. ნეფედოვმა. — კულტურათა თანამეგობრობა, პირადი კონტაქტები ხელს უწყობს ხალხთა დაახლოებას. მოხარული ვართ, რომ კვლავ შეეხვედრნი პარტნიორი ქალაქების წარმომადგენლებს. (საქინფორმი).

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, კინემატოგრაფისტის სრულიად საკავშირო დღესთან დაკავშირებით ქართველი საბჭოთა კინოხელოვნების მოღვაწეებს მიენიჭათ საპატიო წოდებანი:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა“:

კალატოზიშვილს გიორგი მიხეილის ძეს — კინოსტუდია „მოსფილმის“ დამდგმელ-რეჟისორს, **ჯიკაძეს** ვახტანგ კონსტანტინეს ძეს—კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს, **ხოტივარს** ლევან იოსების ძეს — „კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ-რეჟისორს.

„საქართველოს სსრ სახალხო მხატვრისა“:

ლებანიძეს ქრისტესია ივანეს ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ-მხატვარს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა“:

ბაშელეს დეკი კონსტანტინეს ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ-რეჟისორს, **გაბესკირიას** გურამ (გიზო) შალვას ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ-რეჟისორს, **ესაძეს** რეზო პარმენის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ-რეჟისორს, **მანაგაძეს** ნოდარ შოთას ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ-რეჟისორს, **ნინუას** ალექსანდრე ივანეს ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტელეფილმების სტუდიის რეჟისორს, **სიხარულიძეს** ლერი კარლოს ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტელეფილმების სტუდიის რეჟისორს, **შონიას** შოგელ ასლანის ძეს — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის რეჟისორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა“:

ლორთქიფანიძეს გურამ კონსტანტინეს ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს, **ხიზანიშვილს** ირაკლი ივანეს ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრისა“:

მილაძეს ნინო ისაკის ასულს — — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ უფროს ბუღალტერს, **ჯანიაშვილს** ნინო ზაქარიას ასულს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მოანგარიშე-ბუღალტერს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტისა“:

ჯავახიშვილს მერი დავითის ასულს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საგეგმო განყოფილების უფროსის მოადგილეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერისა“:

კოტრიკაძეს რევაზ სერგის ძეს — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კინოფიკაციის სამმართველოს უფროსის მოადგილესა და მთავარ ინჟინერს, **ტიმჩენკოს** იზაბელა ნიკოლოზის ასულს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ინჟინერს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა“:

გუდაძეს ზურაბ ალექსანდრეს ძეს — საჩხერის რაიონული კინოფესელის დირექტორს.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ამხ. გივი მელიტონის ძე **ფერაძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გეოლოგიური საძიებო სამუშაოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. დავით ვასილის ძე **გოძიაშვილი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

მშვიდობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი

ალმა-ათაში საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვას კვლავ განიხილავენ საზღვარგარეთის პრესა, რადიო, სხვადასხვა ქვეყნის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები. ამასთან ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საგარეო პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები ახორციელებენ, მშვიდობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც უპირობო პირობებია ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ აგრესიულ კურსს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის სიტყვა ოპტიმიზმსა და მშვიდობისა და პროგრესის ძალების გამარჯვების რწმენას გვინერგავს, წერს ბულგარული გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“. იგი შთამბეჭდავია საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ამოცანების მასშტაბურობით. საბჭოთა ყაზახეთის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობა, აღნიშნავს გაზეთი, არა მარტო ლენინური პოლიტიკის ერთგულებისა და სოციალიტური წყობილების უდიდესი აღმშენებლობითი შესაძლებლობების დადასტურებაა, არამედ ისტორიული მაგალითიც არის სოციალისტური პროგრესისათვის მებრძოლი ხალხებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა მტკიცე, დარწმუნებული და ამავე დროს დინჯი პასუხი გასცა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ეგრეთ წოდებული ახალი ბირთვული სტრატეგიის გამოცხადებაზე. მან დამაჯერებლად ცხადყო, რომ ეს სტრატეგია ვერ დაამშვენებს საბჭოთა კავშირს, ხაზგასმულია **ჩეხოსლოვაკიის რადიოს** კომენტარში. მისი სიტყვები, რომ ბირთვული იარაღის ვითომდა „შეზღუდული“, „ნაწილობრივი გამოყენების შესახებ მსჯელობას საერთო არაფერი აქვს რეალობასთან, სერიოზულ გფრთხილებენ, გაისმის იმ წრეების მიმართ, რომლებსაც არ სურთ შეგნონ, რომ „ძალის პოზიციიდან“ პოლიტიკა უიმედოდ მოძველდა.

პლანეტის ყველა კეთილი ნების ადამიანმა კარგად იცის, ნათქვამია მონღოლეთის გაზეთ **„უნენის“** კომენტარში, რომ საბჭოთა კავშირი და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნები ახორციელებენ მშვიდობის მაფიო და პატიოსან ომსან პოლიტიკას, რომელიც არ არის მიმართული რომელიმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომ ისინი არ ხელყოფენ სხვის ტერიტორიას, არ ერევიან სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში. მონღოლ ხალხს, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, მიაჩნია, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა თავისი დინჯი და დასაბუთებული სიტყვის დასკვნებში სათანადო პასუხი გასცა და დროულად გაფრთხილა ვაშინგტონის აგრესიული წრეები და პეკინელი ექსპანსიონისტები, რომლებიც ექცევიან „ცივი ომის“ ატმოსფერო.

„ლ. ი. ბრეჟნევმა დაადასტურა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ფუძემდებელი პრინციპები“, ხაზგასმით აღნიშნავს ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო **„სიენგ პასასონი“**. საბჭოთა ხელმძღვანელმა მაღალი შეფასება მისცა სხვა მოძმე ქვეყნების ხელმძღვანელებთან ყირიმში გამართულ ტრადიციულ შეხვედრებს. როგორც გაზეთი წერს, ეს იყო გულწრფელ მეგობართა, თანამოაზრეთა და მშვიდობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეში თანამებრძოლთა შეხვედრები, სადაც სუფევდა ერთსულოვნება საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებაში. აქ აღინიშნა, რომ მსოფლიო ასპარეზზე მიმდინარეობს მშვიდობისათვის, ხალხთა უფლებების პატივისცემისა და დაძაბულობის შენელებისათვის მებრძოლი ძალებისა და ჩაგვრის, მილიტარიზმისა და აგრესიის ძალების პოლიტიკური ბრძოლა. ბაზაში მშვიდობისა და სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, მისი მეგობრობა, თანამშრომლობა და ურთიერთმოქმედება მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან — მონღოლეთთან, ვიეტნამთან, ლაოსთან, კამპუჩიასთან, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დროულად აღნიშნა სერიოზული საფრთხე, რომელსაც კაცობრიობას უქმნის ვაშინგტონის მიერ გამოცხადებული ახალი ბირთვული სტრატეგია, უთხრა საკდესის კორესპონდენტს ვენესუელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ედუარდო გალეგოს მანსერამ. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესებისათვის და დასავლეთ ევროპის ხალხთა ნების საწინააღმდეგოდ მიღებული ნატოს გადაწყვეტილება—განალაგოს დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღი, იმის დადასტურებაა, რომ ამერიკის იმპერიალიზმი კვლავ ეძიებს კონფრონტაციებს თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. ომი მარტო ევროპას როდი ემუქრება. ამიტომ საჭიროა, მსოფლიოს მთელმა მშვიდობისმოყვარე ძალებმა გააძლიერონ ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, რომ გამჩაღებელთა ავბედითი გეგმების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული წინადადება — დაუყოვნებლივ შეუდგნენ მოლაპარაკებას ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების თაობაზე — სსრ კავშირის ახალი კონსტრუქციული ნაბიჯია, რომელიც მკვეთრად განსხვავდება მსოფლიო ასპარეზზე ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული მოქმედებისაგან, განაცხადა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა, ინგლისის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ **ფრენკ ჰვიფტმა.** ნატოს რაკეტულ გეგმებს შეიძლება მოჰყვეს მსოფლიოში ვითარების სერიოზული დესტაბილიზაცია. ამ გეგმების საშიშროებას კიდევ უფრო აძლიერებს ვაშინგტონის მიერ მიღებული ახალი ბირთვული სტრატეგია, რომელსაც მხოლოდ შეშლილთა სტრატეგია შეიძლება ეწოდოთ.

ლ. ი. ბრეჟნევის მიერ მოცემული თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების პოლიტიკურ საქმიანობას, ხალხის მიზანია არ დაუშვას საერთაშორისო ურთიერთობაში შემობრუნება „ცივი ომისაკენ“, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ესწრაფვიან, წერს ბეირუთის გაზეთი **„ან-ნიდა“**. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ადასტურებს სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ბუნებრივ ზრუნვას საკუთარი უშიშროებისა და თავიანთი ხალხების მონაპოვართა შენარჩუნებისათვის, უცხოეთის ჩარევისა და აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხების მხარდაჭერის პრინციპს. სავსებით ცხადია, წერს დასასრულ გაზეთი, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც განახორციელებს პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება მსოფლიოს ყველა ხალხის ინტერესებს, და პოლიტიკას, რომელსაც მხარს უჭერს დედამიწის ყველა კუთხის ასმილიონობით ადამიანი.

ᲛᲔᲖᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲔᲜᲕᲐᲕᲓᲐ

მანაგუა, 5 სექტემბერი. აქ მიღებული ცნობებით თანახმად, სალვადორში მდგომარეობა მკვეთრად გამწვავდა იმის გამო, რომ უკანასკნელ დღეებში წინააღმდეგმანი გამწვავდა მმართველ სამხედრო-სამოქალაქო ხუნტასა და შეიარაღებული ძალების სარდლობაში. არმიის უმაღლესი ოფიცრები, რომლებიც ქვეყანაში სრულ იზოლაციაში მოექცნენ, გაიფთრებით იბრძვიან ძალაუფლებისათვის. შეიარაღებულ ძალებში სასწრაფოდ ხორციელდება გადაადგილება, წმენდა, ახალი ხალხის დანიშვნა. ხუნტის წევრები პოლკოვნიკი გუტიერესი და პოლკოვნიკი მახანო, რომლებიც მეტოქე საარმიო დაჯგუფებებს მეთაურობენ, შესაბამისად მათი მხარდამჭერი ნაწილების განკარგულებაში არიან. მთელი ჯარები საბრძოლოდ არიან გამზადებული.

როგორც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, სალვადორში ახალი სახელმწიფო გადატრიალების რეალური საფრთხე შეიქმნა. რეჟიმისადმი ოპოზიციურად განწყობილი ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მორიგი პუტჩი მზადდება ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაწილეობით. პენტაგონმა სალვადორის წყნარი ოკეანის სანაპიროზე გადაიყვანა ცხრა სამხედრო ხომალდი და დაახლოებით ორი ათასი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი, რომლებიც მზად არიან ამ ქვეყანაში შესაჭრელად.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ამანი, 5 სექტემბერი. ცნობილმა პალესტინელმა საზოგადო მოღვაწეებმა ფაქტ კაჯასამ და მუჰამედ მილჰემმა — ქებრონისა და ხალხულის — ოკუპირებული მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის ორი დიდი ქალაქის მერებმა, პალესტინის მოსახლეობის სახელით დიდი მადლობა გადაუხადეს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ხალხებს ფართო მხარდაჭერისათვის, რომლებსაც ისინი უწევენ პალესტინისა და არაბულ საქმეს.

ამ ქვეყნების ხალხები, განაცხადა ქებრონის მერმა ფაქტ კაჯასამ, გულწრფელად უქერენ მხარს პალესტინელთა თვითგამორკვევისა და საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებას. სოციალისტური ქვეყნების ხალხებმა იციან, სინამდვილეში რა მდგომარეობაა ოკუპირებული იორდანის დასავლეთ ნაპირზე და იორდანის ხეობაში. ეს ტერიტორიები ისრაელმა ომამდე ექვსი დღის — 1967 წლის ომამდე — ოკუპირებულ ეგვიპტეს, სირიასა და იორდანიას ჩამოართვა. ეს ტერიტორიები ისრაელმა ოკუპაციის ადგილად გადააქცია. ეს ადგილები ებრაელ ოკუპანტებს ეჭირათ ბანაკებად, ციხეებად, ციხესიმაგრეებად

ინფორმაცია—80

კონცერტები მინდვრის მშრომელთათვის

ჩოხატაურის რაიონული კულტურის სახლის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დამდეგს დაიწყო მზადება ზაფხულის პეროდში მოსახლეობის კულტურული წომსახურების ორგანიზებული წარმართვისათვის. ამ მიზნით სახალხო თეატრის კოლექტივმა მოამზადა ალ. სამსონიას ორმოქმედებიანი კომედია „ჩემი შვილი სიმონი“, აკ. გეწაძის კომედია „შუაზე ვაყოფილი ცრემლი“, ხოლო აგიტმსატვრელმა ბრიგადამ საესტრადო სანახაობა — „მხიარული ვოდევილები“, საინტერესო რეპერტუარი აქვს პროგრამაში ვაკეთ ანსამბლ „გურიას“...

კულტურის სახლის მხატვრული კოლექტივები ესტუმრნენ რაიონის თითქმის ყველა სოფლის მშრომელებს და თავიანთი ხელოვნება გააცნეს როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე დასასვენებლად ჩამოსულ სტუმრებს.

სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ მხატვრული კოლექტივები სოფლის მეურნეობის მკვლევმოღღლი ადამიანებისათვის წინდვრად მართავენ საველე კონცერტებს, რითაც მაყურებელთა დიდ კმაყოფილებას, სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებენ.

დ. გურგენიძე.

ეგრ-ნაკრძალი

თერჯოლა. (საკ. კორ.). იმერეთში კოხტა, ლამაზ ეზოებს რა დალევს. არც სოფელი ღვანკითია გამონაკლისი, სადაც ერთიმეორის გვერდით ჩამწკრივებულია გემოვნებით დაგეგმილი სახლები.

საავტომობილო გზის ორივე მხარეს გაშენებულ მომცრო წალკოტებში განსაკუთრებით გამოირჩევა შრომისმოყვარის, ბუნების ნამდვილი ქომაგის ბენო გაგეზარდაშვილის ეზო-ნაკრძალი. დიახ, ნაკრძალი სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. აქ, ამ თვალწარმტაც პატარა სანახში, 45 ძირი ძელქვა ხარობს, რომელთაგან სამი ძირი 200 წელზე მეტი ხნისაა.

სათუთად ელოლიავება 75 წელს მიღწეული ჭარმაგი მშრომელი წითელ წიგნში შეტანილ უნიკალური ჯიშის ხეებს. ძია ბენოს არც ყვავილნარი და ხეხილის ნარგავები აქვს სხვებზე ნაკლები, და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მისი ეზოს მახლობლად მოშრიალე ტყეს „გამეზარდაშვილის ტყეს“ უწოდებენ, მართლაც, ბუნების თავგამოდებულ ჭომაგს უნდა დავულოცოთ მადლიანი მარჯვენა, ვუსურვოთ დღეგრძელობა.

ახალი სტომატოლოგიური პოლიკლინიკა

ტყიბული. (საკ. კორ.). შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს მეშახტეთა ქალაქის მცხოვრებლებმა. მათთვის კეცხოველის ქუჩაზე გაიხსნა ახალი სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. იგი აღჭურვილია უახლესი სამედიცინო დანადგარებითა და მოწყობილობით.

პოლიკლინიკას აქვს ქირურგიული, თერაპიული, ორთოპედიული, რენტგენის, პარადონტმიის და ფიზიოთერაპიული კაბინეტები, პაციენტებს აქ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ემსახურებიან.

მოჟრიამული სტუდენტთა „ზღვაში“ ადვილად გამოარჩევდა ქაცი ხანდაზმულ ადამიანთა ჯგუფს, რომელიც უნივერსიტეტის ზღურბლს გადააბიჯა. ჩანდა, რომ ყველა მათგანი იხსენებდა სექტემბრის ამ ღირსსახსოვარ დიღას, როცა მათთვის პირველად დარეკა უნივერსიტეტის ზარმა და ისინი ფორიდიული ფაკულტეტის სტუდენტები გახდნენ.

ბედმა ძნელი გამოცდა მოუწყო ამ თაობის ადამიანებს. სწავლის გაგრძელება არ დასცალდათ, უნივერსიტეტიდან პირდაპირ ფრონტზე გაეშურნენ ისე, რომ პირველი კურსიც არ დაუ-

შეხვედრა 40 წლის შემდეგ

სტუდენტობის გახსენება

მთავრებიათ. ფრონტზე თუ ზურგში, სადაც კი ისინი საშობლომ გაიწია, ყველგან თან ახლდათ უნივერსიტეტის კედლებში შეძენილი დიდი პატრიოტული გრძნობა, სამშობლოს მხურვალე სიყვარული და ცოდნის შეძენის დაუოკებელი სწრაფვა.

— ბევრი ომიდან აღარ დაბრუნებულა. ვინც ომის ქარტეხილს გადაურჩა, უნივერსიტეტს მოაკითხა, თუმცა უკვე სხვადასხვა დროს, — იხსენებს სოციალისტური შრომის გმირი, ქობულეთის რაიონის ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ლევან წულუკიძე, რომელმაც უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი უკვე გვიან, 1954 წელს დამთავრა. მაგრამ ძველი თანაკურსელები ეძებდნენ ერთმანეთს, და აი დღეს თავი მოიყარეს.

ამაღელვებელი იყო ამ ამაგდარი ადამიანების შეხვედრა და მათი საუბარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ზუგდიდელი პიმენ მიქელაია, თბილისელები მარგალიტა რაზმაძე, თინა სვანიძე, გალეული მარო ბლიაძე, ბათუმელი მანანა ქაჯაია, პროფესორი ლალამერ მერკვილაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მართლოს წევრები ივანე ხითარიშვილი და ივანე გოგილაშვილი, მახარაძელები აკაკი გობრონიძე, ფასო მოლაშია და სხვები, სულ 28 კაცი, 1940 წლის პირველკურსელები, რომლებიც წლევანდელი პირველი სექტემბრის დილას უნივერსიტეტის 93-ე აუდიტორიაში შეიკრიბნენ, იმ ამაგდარი თაობის წარმომადგენლები არიან, რომელთა შრომითი და საბრძოლო დიდების ტრადიციებით იზრდებოდა და იზრდება ჩვენი ახალგაზრდობა, რომელთაგანაც სწავლობდა და სწავლობს პროფესიის სიყვარულს, ერთგულებას და დიდ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის.

რ. რატიანი.

ფლეულს, აპრილის დამლევს, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირში მოეწყო თეორიული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და მოსკოვის კინომცოდნეები. კონფერენციაზე განხილულ ეკრანიზაციის, დრამატურგიის, რეჟისურის, თანამედროვე გმირის, ეროვნული თვითმყოფადობის და კინოხელოვნების სხვა ძირითადი თეორიული საკითხები.

ტუფრაზმა ნახეს ბოლო წლების ქართული კინონაწარმოებები. თავისთავად ცხადია, რომ მსჯელობა მათ ეხებოდა. ორატორთა უმრავლესობა აზრს გამოთქვამდა ნოდარ მანაგაძის ფილმის „ამაღლების“ შესახებ, ახასიათებდა მას, როგორც ინდივიდუალური მხატვრული აზროვნების ნაყოფსა და ამავე დროს თავისთავადი ქართული ეროვნული კოლორიტის მქონე ნაწარმოებს. ფილმმა ფაქრისა და განსჯის სურვილი აღძრა და ამგვარად, კინოსანსის შემდეგ სიცოცხლე განაგრძო.

შეიძლება „ამაღლებამ“ კინოში გასართობად მოსული ადამიანი ვერ დაკმაყოფილოს, იგი დაფიქრებული, ანალიზურად მოაზროვნე მაყურებლის ფილმია და მისგან თანამემოქმედეს, ქვეტექსტის ამოკითხვას, მხატვრული მეტაფორის, სიმბოლოს თუ ალეგორიის ამოცნობას, აგრეთვე საქართველოს ისტორიის განცდას მოითხოვს.

სცენარის ავტორებმა ერლომ ახვლედიანმა, ნოდარ მანაგაძემ, დავით ჯავახიშვილმა მიზნად დაისახეს თანამედროვეობის პოზიციიდან პოეტური კინოხელოვნების ხერხებით წარსულის დაკვახვა.

ფილმის დამდგმელი რეჟისორი ნოდარ მანაგაძე თავისი მხატვრული მსოფლმხედველობით მყარად დგას ეროვნული კულტურის ნიადაგზე, კინონაწარმოებში წარმოჩენილია არა მარტო ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური წარსული, არამედ მისი კულტურის ძეგლები: ხალხური ზეპირსიტყვიერება, მუსიკალური ფოლკლორი, სახვითი ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, ეროვნული პოეზიის მოტივები.

„ამაღლება“ ისტორიული ფილმია, რომელიც თავისი ეპოქის ნაწარმოებებისგან რამდენადმე განსხვავდება. იგი ეძღვნება სამშობლოსათვის თავგანწირულ უსახელო გმირებს. ამგვარი ისტორიზმი კი იშვიათია, რადგან ხსენებული ეპოქა უმეტეს შემთხვევაში გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრებისა და ძოღვაწეობის მხატვრული ამსახველია.

ისტორიული ფილმი თითქოს წარმოუდგენელია გარკვეული ქრონოლოგიის გარეშე, მაგრამ „ამაღლებაში“ დრო ზოგადი და განფენილია, კონკრეტული აქ საქართველოა თავისი ეთნოგრაფიული თავისებურებებით, — იმ ზნე-ჩვეულებებითა და ურთიერთობებით, რომლებიც მხოლოდ ქართველ ერს ახასიათებდა.

ეკრანიდან სრულიად ნათელი ქვეტექსტი იკითხება: უხსოვარ დროიდან ქართველი კაცი მტრისგან იცავდა საქართველოს, სამშობლო იფერფლებოდა, ნაცარტუტად იქცეოდა და კვლავ თვალისმომჭრელად ყვავილობდა. მისი ამაღლებისა და აღდგენის საფუძველი ქართველი ხალხის მებრძოლი და გაუტეხელი სული იყო.

ეკრანისეული ქვეტექსტის გადმოცემა მხატვრული სიმბოლოს და მეტაფორის საშუალებით ქართული პოეტური კინოხელოვნების ტრადიციების გაგრძელებაა. „ამაღლებაში“ იგი ამავე დროს სრულიად ახლებურად ესადაგება საქართველოს წარსულის მხატვრულ გააზრებას.

კინონაწარმოების სტილური თავისებურება ძირითადად მითოლოგიურია; მასში უგულებელყოფილია ყოფითი დრამისთვის დამახასიათებელი ფაქტები თუ ეპიზოდის აღწერითი დეტალიზაცია, მოცემულია ზოგადად ქართველი კაცი და მისი სამშობლო — საქართველო, კონკრეტული ისტორიული პიროვნებანი კი არ არიან განსხეულებულნი, არამედ ქართველი ადამიანი სამშობლოსთან მიმართებაში. არ არის დაცული ქრონოლოგია, დრო გავრცობილია საუკუნეთა მანძილზე.

ამასთან სცენარის ავტორებმა ლეგენდას ცხოვრებისეული ეპიზოდები დაურთეს, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ნოველებშია ასახული. ერთი შეხედვით, ყოფითი და მითოლოგიური სტილური შრეები თითქოს შეუთავსებელია ერთმანეთთან, მაგრამ აქაც ავტორებმა ფაქიზი მხატვრული ნიუანსი მოძებნეს და ფილმის გმირების სოციალურ-ეკონომიკური ყოფითი მხარე კი არ გააშუქეს, არამედ მათი არსებობის სულიერი არე, ქალის, ბუნების, შემოქმედების სიყვარული — ადამიანის სულიერ გრძნობათა ეს კომპლექსი სამშობლოს დახასიათებად აღიქმება. ლირიკული მოტივი კინონაწარმოების მოქმედების განვითარების ღერძად იქცა.

 კინო

სამშობლოს უცნობი გმირები

„ამაღლება“ — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები

სიყვარულია ყანაში მომუშავე გლეხის — ივანეს წყენისა და გაბარების წყარო, სადილობის ჟამს მზესა და ჯზას ნერვულად რომ შეჰყურებს ცოლის მოლოდინში. დევის ლაჯვები გაშმაგებული გაექანება სახლისკენ, ბავშვებს შეჰყვირებს, კიდობნებს ყირამალა გადმოატრიალებს და მის გამძვინვარებულ სახეს ნათელი მხოლოდ მაშინ მოეფინება, წისქვილიდან დაბრუნებულ ცოლს რომ დაინახავს. ივანეს როლის შემსრულებელი — მსახიობი ზურაბ ქაფიანიძე — მაღალი პროფესიონალიზმით, განწყობილებათა ცვლის ნიუანსებით ახერხებს გამძვინვარებული „დევის“ გარდასახვას ნაზ და მოსიყვარულე ქმრად. მსახიობმა შეძლო უბრალო ქართველი გლეხკაცის პოეტური სული ეჩვენებინა: მზეს და ბილიკს რომ გაჰყურებს ნერვულად, შიშილი კი არ აწუხებს და უსადილობა, არამედ თავისი ლამაზი მეუღლის (მსახიობი იზა გიგოშვილი) მოუსვლელობა, და როდესაც ცოლს დაინახავს თონის პურებით ხელში, პურებს მშიერ ბავშვებს ჩამოურიგებს და თვითონ სახუმარო ჟიორს დამღერებს ფანდურზე, ბედნიერებას ივანე სიყვარულში პოვებს.

ზშირად ეკრანის გმირები შარავანდედით იმოსებიან და მიწიერი ცხოვრებიდან ზეაწეულ ვითარებაში არიან ხოლმე წარმოდგენილნი, მათი ყოფა რომანტიკულ ელფერს იძენს. ალბათ, სამშობლოს მსხვერპლად შეწირულ გმირთა სახეების ამგვარი გაახრება მართებულია, მაგრამ არ არის ერთადერთი. „ამაღლების“ ავტორებმა ზოგიერთი გმირი კომიკურ სიტუაციაში წარმოაჩინეს, რამაც ისინი ერთობ „მიწიერნი“ გახადა და გაიალურა. ამგვარად შემცირდა დროის დისტანცია გმირებსა და მაყურებელს შორის და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ლეგენდარული გმირი შეიძლება იყოს ყოველი კაცი (იქნება ჯაგლაგი ცხენის პატრონი, თუ ქალაგან უარყოფილი), რომლის ცხოვრების აზრია მაღალი იდეალი და სამშობლოს სიყვარული ძალუძს. ფილმის ავტორებმა კეთილი იუმორით დაგვანახვეს თავიანთი გმირები, უხიაგ ვითარებაშიც მოაქციეს, რაც მაყურებლის ღიმილსა და, ზოგჯერ, სიცილსაც კი იწვევს.

მამის ნაანდერძევი ბებერი ცხენის გადამკიდე ხვიჩა (მსახიობი იოსებ ჯაჭვლიანი) ვერც ომში წასულა და ვერც რაშით მოჯირითე ქერათმიან ძაძუს დასწვეია, სიყვარული რომ გაუმხილოს. ჯორივით გაჯიუტებულ ცხენზე მჯდარი პოეტური ვაქკაცი, თავისი მეტოქის — გვანჯის (მსახიობი გურამ ფირცხალავა) დაცინვას იმსახურებს, მაგრამ ხვიჩა თავს დააღწევს ამ უხერხულობას, ჯიქურ მიეჭრება ამაყად ყელმოღერებულ გვანჯის, უნაგირიდან ჩამოაგდებს, მის ცხენს შეახტება და ქარავანი გადაევლება მინდორს, რამით მრბოლ ძაძუს კოცონას მოსტაცებს და ისე გაემართება ომში.

ლირიკული მოტივი ფილმის ყოველ ნოველაში თავისებურად არის წარმოდგენილი, არც ერთი გმირის საქციელი ერთმანეთს არა ჰგავს და ამავე დროს ყველს ერთი თვისება აერთიანებს — სიყვარულისა და პოეტურობის უნარი.

სიყვარული — ადამიანური ყოფის უზენაესობა — ფილმში წარმოდგენილია პაემანზე ერთმანეთის შორიახლოს, დამორცხვებით მდგომი ვოგო-ბიჭის სიმბოლური კადრით, ამ სტატიკურ კომპოზიციაში სულის უდიდესი მოძრაობა და გრძნობათა ღელვა თითქოს თვალწარმტაც ბუნებაზე განფენილა და ელეგიური ტონალობით გარემოცულა. ოპერატორის — ნუგზარ ერემიაშვილისა და მხატვრების შოთა გიგოლაშვილის და ნიკოლოზ ზანდუკელის მიერ ფაქიზად და დახვეწილი გემოვნებით წარმოჩენილი ბუნება აქტიურ დრამატურგიულ ფუნქციას ასრულებს და მხატვრულად ასახიერებს კინონაწარმოების დედაიაზრს. ოპერატორისა და მხატვრების მიერ დახატული ლირიკული და ტრაგიკული ლანდშაფტის კომპოზიციები მუსიკასთან თუ ხალხურ ლექსებთან ერთად ფილმის ნოველების მონტაჟურ წინათქმად იკითხება, კინონაწარმოებში ბუნება სიყვარულისა და შთაგონების იმპულსად არის გასახიერებული, ლირიკული მოტივი ჰეიზაყის თანამონაწილეობით იშლება.

ბუნება არის მხატვარი ბერის (მსახიობი თემურ ჩხეიძე) ტკბობისა და შემოქმედების წყარო; მყუდრო სავანეში იგი ქმნის ფერწერულ ტილოს. წყნარად მიედინება მისი სულიერი და შემოქმედებითი ცხოვრება, სანამ ჯოტის შემზარავი კვილი, ცხენის ფლოქვების საგანგაშო თქარუნი ხელში არ ააღებინებს მახვილს. ბერი ქვეითად გაუდგება გზას სამშობლოს დასაცავად.

ბუნების წიაღში, მთის ფერდობზე ხუროთმოძღვარი (მსახიობი თემო ჯაფარიძე) ტაძარს აგებს, მისი მეხახვი თეთრი ხარი კვრია, რომელიც სამშენებლო ლოდებს მარხლით დაათრევს. ხუროთმოძღვრისთვის ხარი ძხოლოდ დამხმარე ფიზიკური ძალა კი არ არის, არამედ უფრო მისი შთაგონების წყაროა.

ფილმის ყველა გმირი სამშობლოსათვის კვდება და ყოველი მათგანი ამქვეყნად ტოვებს თავისი სიცოცხლის გაგრძელებას. „სამზეოში“ დარჩა: ხვიჩას მიერ გატაცებული მარტომბოლო თეთრი რაში, სალამური — უწმიწულაშო ხეესური ბიჭის მიერ გამოთლილი და პატარა მწყემსი გოგონასადმი სიყვარულის ნიშნად მიძღვნილი, პაემანზე ეულად მისული ძაძებში გახვეული გოგონა, მხატვარი ბერის ნახატი, წვიმა რომ უმოწყალოდ დასდის ცრემლებად, ივანეს წვრილშვილიანი ოჯახი.... „სულეთში“ წასულმა ჭაბუკებმა დარჩენილთ ქალის, ბუნების, შემოქმედების, სამშობლოს სიყვარული უანდერძეს და ამ გზით განაგრძეს სიცოცხლე, რომელიც ქართველმა ხალხმა ლეგენდებით გამოხატა.

„ამაღლება“ სამშობლოს მსხვერპლად შეწირული წინაპრებისადმი ეფრმესი სიყვარულით გამსჭვალული ეკრანული თქმულებაა.

ნათია ამირეჯიბი.

სურათებზე: კადრები ახალი ქართული მხატვრული ფილმიდან „ამაღლება“.

გაისმნა გამოწვევა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

იმისათვის, რომ საზოგადოებრიობა ფართოდ გაეცნოს სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად კონკურსზე დაშვებულ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებს, გაიხსნა გამოფენა.

გამოფენა მუშაობს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის მხატვრის ცენტრალურ სახლში ყირიმის სახაპირო, 14-10, 11-დან 20 საათამდე ყოველდღე, ორშაბათის გარდა

✦✦

შემთხვევა

ზუზუმბოს ტყე დაწვას გადაარჩინეს

თელავი. (საკ. კორ.). წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყით მდიდარ ცივ-გომბორის მთის კალთის ერთ ნაწილს, თელაველებისათვის საყვარელი დასასვენებელი ადგილით — გამარჯვების ტყე-პარკით რომ ბოლოდდება, ზუზუმბო ჰქვია. აქ ხშირად შეხვდებით ტყის ხილის, სოკოს შემგროვებელთა ჯგუფებს. ერთ-ერთი ასეთი „ექსპედიციის“ დროს თელავის IV საშუალო სკოლის მოსწავლეები პაატა სამხარაძე, თემურ ბაღათრიშვილი, V საშუალო სკოლის მოსწავლე ბესიკ რაზმაძე ტყეში ცეცხლს წააწყდნენ. ცეცხლის ენები სულ უფრო იზრდებოდა და მრავლდებოდა, ტყეს დაღუპვით ემუქრებოდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. გულადი პიონერები ცეცხლთან ბრძოლაში ჩაებნენ, მაგრამ, როცა დარწმუნდნენ, რომ მარტო ვერას გახდებოდნენ, ზუზუმბოს დასახლების მცხოვრებლებს შეატყობინეს და თვითონ ხანძრის ჩაქრობა განაგრძეს. ხანძრის ჩასაქრობად გამოსულ მოსახლეობას მალე სახანძრო რაზმიც წამოეშველა, და ზუზუმბოს ტყე დაწვას გადარჩა.

როგორც მკითხველმა იცის, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი მიწვეული იყო ესპანეთის ქალაქ კადისში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც მან მესამე ადგილი დაიკავა.

ჩვენ შევხვდით თბილისის „დინამოს“ მწვრთნელს ს. კუტიბაევს და ვთხოვეთ „კომუნისტის“ მკითხველისათვის მოეთხრო ამ ტურნირის შესახებ.

გთავაზობთ მის ნამბობს.

„დინამო“ ესპანეთში თიდან დაბრუნდა

28 აგვისტოს თბილისის „დინამო“ კიეველ თანაკლუბელებთან ერთად ესპანეთისაკენ გაემგზავრა. კიეველები მიწვეული იყვნენ ბადრიდის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც თამაშდებოდა „სანტიაგო ბარნაბეოს“ თასი. ჩვენ კი კადისის საერთაშორისო ტურნირზე „კოპა დე კარანცას“ თასის გათამაშებაში ვმონაწილეობდით.

ორივე ტურნირზე ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი. მადრიდს კიეველების გარდა „ბავარია“ და „ბენფიკა“ ესტუმრნენ, ამ ტურნირს ადგილობრივი „რეალ მადრიდის“ გუნდი მასპინძლობდა. კადისში კი ჩვენს გარდა მონაწილეობდნენ ადგილობრივი „კადისი“, სევილიის გუნდი „ბეტისი“ და ბრაზილიის ჩემპიონი, საქვეყნოდ ცნობილი „ფლამენგო“.

პირველ ტურში ჩვენ სწორედ „ფლამენგოს“ ვეთამაშეთ. როგორც ფეხბურთის გულშემატკივრები და სპეციალისტები აღნიშნავდნენ, ამ ტურნირის გვირგვინი სწორედ ეს მატჩი ალმოჩნდა. 25 ათასმა მაყურებელმა მეტად საინტერესო და დაძაბული მატჩი იხილა. გუნდებმა ერთმანეთს ტოლი არ დაუდეს. მშვენივრად თამაშობდნენ ბრაზილიელები ზიკო, ნუნიესი და უნიორი, მაყურებელი მოხიბლა დ. ყიფიანის თამაშმა. ანგარიში თამაშის მეოცე წუთზე რ. შენგელიამ გახსნა. ხუთი წუთის შემდეგ ნუნესმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება. მეორე ტაიმში ბრაზილიელმა ადილიომ მეორე ბურთი გაიტანა გაბელიას კარში (80 წ.), მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე გ. თავაძემ წონასწორობა აღადგინა. ამის შემდეგ, მატჩის ბოლო წუთში, რ. შენგელიამ დაკარგა გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა, როდესაც მეკარესთან პირისპირ გასულმა ახლო წანძილიდან ბურთი კარს ააცილა.

პენალტების სერიაში კი „ფლამენგომ“ იმარჯვა — 4:3.

„ბეტისმა“ და „კადისმაც“ თამაშის ძირითადი დრო ფრედ — 1:1 დაამთავრეს. პენალტების სერიაში გაიმარჯვა „ბეტისმა“ და „ფლამენგოსთან“ ერთად ფინალში გავიდა.

მეორე დღეს „კადისთან“ პაპანაქების სიცხეში მოგვიწია თამაში. მეცხრე წუთზე რ. ჩელებაძემ გახსნა ანგარიში. ესპანელებმა პირველი ტაიმის მიწურულს აღადგინეს წონასწორობა და მატჩი ფრედ დამთავრდა. პენალტების სერიაში ამჯერად ჩვენ ვიმარჯვეთ (3:0) და მესამე ადგილი გვხვდა.

ამავე დღეს გაიმართა ფინალი. „ფლამენგოელ“ ზიკოს გატანილ ორ გოლს ბეტისელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს, და გამარჯვება ბრაზილიელებს დაუთმეს.

უნდა აღინიშნოს, რომ „ფლამენგოსა“ და „ბეტისთან“ ერთად თბილისს „დინამომაც“ მიიღო „კოპა დე კარანცას“ ვერცხლის თასი, ოღონდ შედარებით მომცრო ზომისა.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ „დინამოს“ სამი წამყვანი მოთამაშე აკლდა (ა. ჩივაძე და თ. სულაქვიძე საბჭოთა კავშირის ნაკრებში იყვნენ გაწვეულნი, ხოლო ვ. გუცაევი ტრავმას იშუშებდა) და თანაც „ფლამენგოს“ ძლიერ გუნდთან მხოლოდ პენალტების სერიაში დავმარცხდით, უკმაყოფილონი არ უნდა ვიყოთ.

მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ამჟამად ვ. გუცაევი უკვე ვარჯიშობს და მალე ვიხილავთ მწვანე მინდორზე,

რადგან დასაწყისში მადრიდის ტურნირზეც გვქონდა საუბარი, გეტყვით, რომ აქ პირველობა არავის დაუთმო „ბავარიამ“. კიევის „დინამოელები“ კი მესამე ადგილს დასჯერდნენ.

ამჟამად თბილისის „დინამო“ საკავშირო ჩემპიონატისა და ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების მატჩებისათვის ემზადება.

ე. ციცდენიძე.

ეკონომიკური ფიზიკოსი

ბ. ბაბალიანი

ბ. ბ. ბ.